

შიდა ქართლის გუბერნატორმა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრა გამართა

07 სექტემბერი 2018

შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევიანიშვილი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის რეგიონული ოფისის ახალ ხელმძღვანელს, მიჰაელა ანა გერასიმას შეხვდა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრა შიდა ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციაში მოეწყო. მიჰაელა გერასიმამ გუბერნატორს მისი სამუშაო სპეციფიკისა და მისიის შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა. ასევე, საუბარი შეეხო საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში არსებულ მდგომარეობას. რწმუნებულმა მაძლობა გადაუხადა იმ საქმიანობისთვის, რასაც სადამკვირვებლო მისია შიდა ქართლის რეგიონში ახორციელებს. შეხვედრის ბოლოს მხარეები თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ.